ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3445604

ნომერი: AR1528428

თარიღი : 31.07.2017

გაცემის თარიღი : 07.08.2017

გაცნობის თარიღი : 07.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II შესახვევი, N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , შესახვევი II , N1-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გობეჯიშვილი პ/ნ 62011001618
- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ., I შეს., N 9, ბ. 10

ორგანიზაცია:

- სან ჰაუსი კოდი: 406197413

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 31 ივლისს AR1528428 განცხადებით მომართა ლევან გობეჯიშვილმა, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:#01.10.10.020.159; ფართობი:800 კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 6 მარტის №3123674 ბრძანებით, 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება განახლებული საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად, ამასთან №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატა ჩანაწერი:

“• პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნას გაერთიანებული საკადასტრო ერთეული;

• გათვალისწინებული იქნას ს/კ №01.10.10.020.161 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში დაფიქსირებული ვალდებულება, თუ ის ეხება მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას;”

ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ, მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრაში, საზოგადოებრივი საზღვრების გრაფაში ნაცვლად „ვ.თოფურიძის II შეს. მხრიდან“ ჩაიწეროს “ სამხრეთ–დასავლეთით არსებული სივრციდან, სადაც განთავსებულია სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედანი.“

აღნიშნული ცვლილება, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრაში, საზოგადოებრივი საზღვრების გრაფაში დაფიქსირდეს: „განისაზღვროს სამხრეთ–დასავლეთით არსებული სივრციდან, სადაც განთავსებულია სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედანი.“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 სექტემბრის №2152592 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.